

კედეპი: სოლოლაკზე, ბ. ღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43 კანტორა კედეპისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანკის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: В. Тинаш. В. редакцію газ. „Дროга“.

აბაზეთის შასი: მთელის წლი-ს—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაბათი

ბანსხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე. შასი ბანსხადების კვირისას: კვირით ასობზე—1 კაპ., ასობითა—2 კაპ., სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციკლოთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

კედეპისას უფლება აქვს გაასწავროს და შემოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

უმორჩილესად ვითრებით იმ ჩვენს აგენტებს, რომელთაც კედეპისათან თავიანთ ხელის-მოწერალების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც უმიჯნობა მალე გარკვევით ანგარიში და ხვედრი უფრო გაზრდისა გამოგზავნონ კედეპისაში.

ცალკე ნომერები

- „დროებას“ იწყობება:
- მართანობის წიგნის მალაზიაში (ძუკიის ხილზე, მირზოევის შენობაში)
- ბრძოლის წიგნის მალაზიაში (ძუკიის ხილთან, ზუბალოვის სახლში)
- „სულთანის“ თამბაქოს მალაზიაში (სულის ქვეშ).
- „ქარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, პარფუმის ქრავსლაში)
- აზნაურის თამბაქოს მალაზიაში (ბულვარზე)
- ბრძოლის მალაზიაში („მეკა-ზის“ სასტუმრის ქვეშ, მირზოევის სახლში)
- ჯიშაურის თამბაქოს მალაზიაში (ძუკიის ხილზე).
- მუთისში—სპ. ჩოგანისათან (ბანკის სტამბაში).

„დროებას“—მუთისში ისე იწყება სვიმონ ჩოგანისათან, ბუბერის ტიპოგრაფიაში, ბულვარის პირდაპირ.

ერთი ნომრის შასი—შაბათი ბაზეთი მიიღება მუთისში საღამოს 8 საათზე იმავე დღეს, რა დღესაც მთელი შასი გამოდის.

ტელეგრაფები

პარიში, 17 აგვისტოს. ბუშინ პარიში იყო წარმოდგენა ამ ომში რუსების დაჭრილების სასარგებლოდ; შემოვიდა სულ 16 ათასი ფრანკი, ტეატრი სავსე იყო ხალხით.

ათინა, 17 აგვისტოს. სამზღვრებზე გაგზავნილნი არიან ახალი ქვეითი, ცხენოსანი ჯარები და არტილერია.

მესალაში ახალი შეტაკება მოხდა ბერძენებსა და ოსმალებს შუა.

ბუნძ. ქრიტზე ხალხის არეულობა ჯერ კიდევ არ შეწყნარებულა.

ოქმის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

ბაზ. „Пол.“ კორესპონდენტი მიუჩუქ-დარიდამ, სხვათა შორის, აი რას იწყებდა იმ შეტაკებაზე, რომელიც პოლოკოვ. მომაროვის პრეტანის ატრიადა და ავაზაკის მიხრალის ჯარებს შუა მოხდა 23 ივლისის სოფ. საფალას და ღიშტირთან. სოფლები საიხალა და ღიშტირი, რომლებიც მცხოვრებნი მიემხრენ მიხრალის ჯარებს და ჩვენს ჯარებს თოფებს უშენდნენ, თითქმის უჩხუბრათ აიღო პოლოკ. მომაროვა და მიხრალის ცხენოსანი ჯარიც გააქცია; ამ ბრძოლის დროს ჩვენის მხრით მოგვიკლეს ორი და ოთხი კაციც დაგვიკრეს. ამ სოფლებთან მომხთარს შეტაკებას იმდენი სამხედრო მნიშვნელობა არა აქვს. მა იმითაა შესანიშნავი, რომ ამ საქმეში ზემო ამოყვანილი სოფლების მცხოვრებლებმაც მიიღეს მონაწილეობა და ეს მონაწილეობა უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები დღესაც დარწმუნებულნი არიან ჩვენს სისუსტეზე და ჩვენი ჯარის, შედარებით ოსმალოების ჯართან, მცირედობაზე. — შეტყუებით რამდენიმე სიტყვას თავთ ავაზაკის მიხრალის ვინაობაზე. —

„მიხრალის ამ ქამად გამოხატენი ადგილი უჭირავს მარაპაპახების ურდოში, რომელიც მცარცველობით და ავაზაკებით ცხოვრობენ. ოქმის დაწყებისას მიხრალის თავისთვის იყო, არაფელს საქმეში არ ერეოდა, მხოლოდ, როგორც სომხების ისე ოსთრების სოფლებს ცარცვედა ე. ი. არც ქრისტიანს ზოგადად, და არც ოსთარს. იმის ურდოში 50-60 კაცამდე ითვლებოდა. — ჩვენს სამხედრო მართებლობას უნდოდა, რომ ოქმის ველზედ ახლო-მახლო ქრისტიანთა სოფლები გაერთიანებულნი მიხრალის მცარცველობისაგან — და ამ განზრახვით მოინდომა მისი დაჭერა და თუ ეს არ შეიძლებოდა, მაშინ გადმოებირებიათ მაინც ჩვენს იმ დაპირებით, რომ მართებლობა მას აპატივებს ყველაფერს და ნაშაულობას და დანარჩენ მარაპაპახებთ

შორის იმასაც მიიღებს სამსახურში, მაგრამ ყველაფერმა, ყოველ გეარმა შეცადინებამ ფუჭად ჩაიარა.

მიხრალის იმდენათ ყოჩაღი და მარჯვე იყო, რომ იმისი დაჭერა შეუძლებელი შეიქნა და თავის ნებით კადევ, კუთა იხმარა, თუ სისულელე, რუსებისკენ არ გადმოვიდა. ამის შემდეგ ის სულ უფრო და უფრო ოსმალოების მომხრე მეომრათ, გახდა და, თითქოს მარსის დაცვა იმას აქვს შინდობილია, რამდენიმეჯერ შეტაკება ჰქონდა ჩვენს ჯარებთან, თუმცა ყოველთვის კი ის იყო დამარცხებული. პირველი ჩხუბი მტერთან მე ჩვენი დრაგუნების შეტაკება ვინაზე მიხრალის ჯარებთან. ის იყო 21 მაისს და მაშინ ჩვენებმა იმათ 20 ცხენი და 150 რქიანი საქონელი დაატოვებინეს.

ამ ნაირად მიხრალის დარჩა ოსმალოს სამსახურში უფრო იმიტომ, როგორც ამბობენ, რომ მას ოჯახი მარსში ჰყოლია. მაშ ეშინიან, რომ ჩვენსკენ გადმოსვლის შემდეგ, ოსმალოები აწვალენ მის ცოლ-შვილს. მხლა კი, რასაკვირველია, როდესაც ჩვენმა ჯარებმა უკან დაიხიეს, იმას ვერაფრით ვერ გადმოიტყუებდა კაცი. მათ უფრო, რომ დღეს მის ოსმალოს ცხენოსანი ჯარის გენერლათ ეხედათ.

„ბირმის სააგენტოს“, ნოს აგვისტოს, შემდეგი ტელეგრამა მოსვლია მარსიდან: იკანის მალაზიაზედ თავიანთი ბანაკი დაცალეს ოსმალოებმა ალაღვის მთის სამხრეთით მდგომი ჯარები ისევ უკან მიიწვიეს, წაიყვანეს და, გარდა ამის, ნახიჩევანი (?) ღვარი და მაქარაკაცი დაცალეს. ჩერქეზების ცხენოსანი ჯარი „ჯოგებათ“ სტოვებენ ოსმალოს ჯარებს და გარბიან. არზრუმიდამ მომავალი ახალი ჯარი ჯერ კიდევ არ მოგვეყვებია.

— მსვე სააგენტო მარსიდან გვაცნობებს: მუხთარ ფაშასა და შამილის შვილის შაზი-მაჰომეტს შუა რაღაც არა სანუგეშო უყმაყოფილება მომხთარა, რომლის შემდეგათაც ჩერქეზებისაგან ოსმალოს ჯარების თავის დანებება მოჰყავთ. ბაზარჯიკელ ქურთებმაც, ბეგლარ აგვის წინა მძლომლობით მიატრეეს არმია და საღან-ლულის მთებშიდ გაიფანტნენ.

შვედის ბრძოლის ველიდან

ბელგიურს გაზ. „Indep. Bel.“-ში იწერებოდა, 16 ივლისს რაზგრაღიდან: მას შემდეგ, რა რომ მომქმედი არმიის სარდლად მეჰმედ-ალი-ფაშა დანიშნეს, მსამალოს ჯარებში ძიელ შესამჩნევი ცვლილება მოხდა. მსამალოს ჯარი ეხლა ის ჯარი არ არის, რომელიც აბდულ-მერიმის სარდლობის დროს იყო: უფრო მამაობით, გაბედულად და სამშობლოს დაცვაზე უფრო თავგანწირულად მტრის შეხვედრაზე ლაპარაკობენ.—ქველადური ეს იმით აიხსნება, რომ მეჰმედ-ალი-ფაშა დიდად განსხვავდება თავის წინამორბედ გილენზე, როგორც ხასიათით, ისე ჭკვიტ და სამხედრო განათლებითაც.— არმიის მოსვლისათანავე, მან ისე დაიჭირა თავი, რომ სალდათიდან დაწყებული გენერალმდინ ყველას გული მიიზიდა.— მეჰმედ-ალი დარწმუნებულია, რომ სალდათებთან მეგობრობით და კაც-მოყვარეობითი ქცევით, უფრო მეტს იქს კაცი, და ის ასე ექცევა კიდევ მათ.— მართს წამს ვერ ნახავს კაცი მოსვენებულს მეჰმედ-ალის: მუდამ საქმეშია და მუდამ თავის შტაბთან რჩევაზე. ამგვარს მის გაცხარებული მუშაობამისი არმიაც აღტაცებაში მოჰყავს.— ბანაკებში გაუწყნარებელი სიმღერა და ხალისობაა. მსამალოს სალდათს მისდევს ოცნებები ვერ გაიტაცებენ, ისე, მაგალითად, როგორც დასავლეთი სახელმწიფოების სალდათებს, მაგრამ, მაგიერათ, მათს სახეზე კაცი ადვილათ წაიკითხავს იმ დარწმუნებას, რომ მათი საქმე წაგებული არ არის.

ბერლინის ერთ გაზეთს მოჰყავს რუსეთელი აფიცრის წერილიდან, რომელიც ბრძოლის ველზე არის, შემდეგი ადგილი: დაჭრილი რუსები ამბობენ, რომ ინგლისელები, რომელიც მსამალოს არმიის მსახურობენ, ცდილობენ ცოტათი მაინც დაიკავონ მსამალოები მტარვლობისაგან, მაგრამ, მაგიერათ, პოლშელები სულ ამის წინააღმდეგ იქცევიანო. მსენი უფრო აქვებენ მსამალოებს ამ მტარვლობაშიო.

ლონდონის, ოფიცირული გაზეთი „observer“ გვაცნობებს, ვითომც რაზგრაღის სიახლოვეს ყოფილა დიდი შეტაკება, რომლიდანაც მსამალოები გამარჯვებული გამოსულან(?)

სტამბოლიდან იწერებოდა, მენის „Deut. Zeit.“, რომ ბალღიბოლის გამაგრება გაუთავებიათ კიდევ. ღარიბიანთ მხოლოდ სიმაგრების გარშემო კრუპაკს ზარბაზნების გაწყობა.

ლონდონის გაზეთებში სწერია: სტამბოლში ამ ქამათ ძიელ აღელვებუ-

ლია ხალხი იმით, რომ რუსებმა ქ. ბილას შემბარები დაუშინესო. ამის შესახებ ზობარტ-ფაშა ამბობს, რომ ყუმბარებს იმდენათ არაფელი დაუკლია ქალაქისათვის, რამდენათ მცხოვრებლები დაფთხაო. რუსებმა სულ შეიღი ყუმბარა ჩაადგეს ქალაქში და იმათაც ძლიავს მიაღწიეს ქალაქმდინაო, რადგან რუსებს ძიელ პატარა და არც ისე შორს მიმყვანი ზარბაზნები აქეთო.—

სამართველი

ლიწური

* * * თელავიდან გვეწერს ჩვენი კორრესპონდენტი.

„ამ დღეებში თელავში მოვიდა სომეხი სასწავლებლების უმთავრესი პირი, აქაური სასწავლებლის დასახედავით და მესწავლებლე ბისგამოსაცდელად. არც იტი თავისის დანახვით, თუ სხვის ჩაგონებით, ამ სასწავლებლიდან დაითხოვა რევიზორმა რადენიმე თელაველი კაცი, დანიშნულნი მზრუნველებად. ღღეს ისმის, რომ ორი მოსწავლეელიც გამოუსტუმრებია, რადგანაც სწავლაში წარმატება ვერ უჩვენებიათ. ან კი რა წარმატებას უნდა მოველოდეთ იმ მასწავლებელთაგან, რომელთაგანაც ერთი არის მიზიდული მაგარ ღვინისაკენ და მეორე, ადვოკატობისაკენ. მა უკანასკნელი უფრო არძების წერას უნდება, ვინემც შეგირდების სწავლას; ამბობენ, რომ შიგ სასწავლებელშიაც კი სწერდა თურმე არხებსა. ჯამაგირს კი თავთავის დროს იღებდნენ. ძნელი არ არის, რომ ფული იხარჯებოდეს და უსარგებლოთ კი? იმედი ემქონიოთ, როს დათხოვნილი მასწავლებლების და მზრუნველების ნაცვლად, დანიშნებიან უფრო საიმედო და სასარგებლო პირები.“

* * * ჩვენ მოგვივიდა „დროებაში“ დასაბეჭდათ, შემდეგი წერილი:

შუ. რედაქტორო ღმერთმა ისე შეაწუხოს თქვენი მტერი, როგორც მე საწყალი ქრავი შეწუხებული ვიყო ერთი ჩემი მეზობლისაგან. მით მინუტსაც არა მაქვს მოსვენება სულ ყოველ დღე მუთაისის უეზდის მომრიგებელი სასამართლოში დაერბივარ, ჩემი მტერის მოსაშორებლად, მაგრამ მომრიგებელმა მოსამართლემ მე ყურადღება არ მომაქცია. მომრიგებელი მოსამართლის ჩინოვნიკები მეუბნებიან: „შე საწყალო, რა დავარბენინებს? ხომ იცი ის დიდი კაცია და იმას შენ ვერასფერს უზამ?“

აბა შენი ჭირიმე, ჩემო ბატონო, ისმინეთ ჩემი გაჭირება. მე, ბატონო, ობლების პატრონი ვსახლობვარ იმ

დიდი კაცის მახლობლად, რომელიც წინეთ მოგახსენე და გვარი კი არ მითქვამს.“

„მა გახლავს თ. ბ. ნ — რადე. მუ გნებავთ დაწვრილებით ავიწერთ, რომ კარგად მიხედეთ: სქელ-სქელი კაცია, შუა ტანისა, თავ დიდა და დიდი ბზის ჯოხის დაკვება იცის ხელში, რადგან შეჩვეული ყოფილა, საწყალი გლენების გალახვას; მაგრამ ახლა კი ვერ ახერხებს, რადგან გლენები ორმოს გადახტენ, რომელსედაც იმ „დიდ ბატონს“ გადახტომა არ შეუძლია და თუ ღმერთი გაუწყრა და გადახტა, კისერს მოიტებს (?) ძლიერ კარგი და „დიდი კაცი“ მყავს მეზობლად, შენი ჭირიმე, მაგრამ ნეტავი დათვი მყავდეს უფრო კარგად მივითვისებ: ან ხაფანგით დავიჭერ, ან მოვკლავ, თუ არაფერი გამივიდა და ან რაცხას კი მოუხერხებ; მაგას კი ვერაფერი მოუხერხებ, შენი ჭირიმე, დათვზე უფრო მიჭამს სიმინდსაც და სხვასაც; ხემ მიჭრის, ღობეს მიტებს და ადგილსაც მართმევს; ყოველ ახალ ღობის გაღობვის დროს, ერთი სიტყვით, არ მასახლევს არც მე და არც ჩემ საწყალ შეილებს. უნდა გაითვართვოს ჩემი ადგილით მისი ეზო და მახედ გაატარ-გამოატაროს მისი გასიგებული მუცელი არხინათ, მაგრამ მგონი არ მოესწროს ის გულხარბი ამას. ამას იმით მოგახსენებ, შენი ჭირიმე, რომ იქნება ამ ბარათმა კიდევ გაახსნოს ჩემი თავი მომრიგებელ მსაჯულს და იმ მეზობლისაგან გამათავისუფლოს; იქნება აწი მაინც აღარ ვიძუდყოლო მუთაისის; იქნება ქმნას სიკეთე და თვითონ მობთმანდეს ჩემ ოჯახში, ჩემი ადგილ მამულის დასადავლიერებლად, როსელიც ყოველ წლობით მცირდება და ოხრდება იმ „დიდი კაცისაგან“.

„დროების“ კორრესპონდენსია

თელავში, 8 აგ. სტაბ. როგორათაც მთელს თელავის ცხოვრებთა, ვგრეთვე უეზდის ხალხსაც ვვიხაროდა თელავში აფთიაქის გამართვა და მართლაც სასიხარულოც იყო, თუ რიგინათ იქცეოდეს აფთეჟარი, უუალი შულონი. შრიგოთ ქცევა იმისი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ან რიგინას წამლებს ვერ აკეთებდეს, ანუ ძვირათ ჰყიდდეს; არამედ აირა ში მდგომარეობს: იმას არა ჰყავს თანა-შემწე და თითონაც ხშირათ თავის ქარხანაში არა ღებთ: თითქმის მრთელს ღამეს ქალაღდის თამაშობაში ატარებს. ამის გამო იმისი ძილი გრძელდება მეორე დღეს ათიღან თერთმეტს საათამდინ. მერმე ადგება და რადგანაც საიმე-

ლო ბიკი არა ჰყავს, მიდის ბაზარში საზრდოს სასყიდლათ ასე, რომ ამ ასეობაში თორმეტი საათი სრულდება; ახლა ჩაის დაღვეს. ზედ სადილი მოასწრობს, სადილს უკან სხვა და სხვა ოჯახებში მიდის, დროს გასატარებლათ და, როგორც მოგვხსენებათ, ტკბილს საუბარში ჩქარა ღამდება; ღამე, როგორც ზევითა ვსთვი, აქვს დანიშნული უ. ჰულის ქაღალდის სათამაშოთ. ამ გვართ ის პირნი, რომელთაც რაიმე წამალი ეჭირებთ, მძლივს ეღირსებიან წამლის მიღებას იმ დროს განმამავლობაში, როდესაც ის გაიღვიძებს და მანამ ბაზარში წავა

მა არ მოსწონს ხალხსა და საზოგადო სამღურავს აცხადებენ, მაგრამ ის ყურს არ იბღერტავს. ბევრჯელ მოხდება, რომ მოკვდება ავთამყოფი უწამლოთ, რომელსაც, ზემო აღნიშნულის მიზეზით, ვერ მივიღებთ ავთიაქიდგან და რომელიც იქნება რასმეს უშველიდა ავანტყოფს, თუ მისწრებოდა თავის დროს. ამისათვის ვსთხოვ უ. ჰულის აღასრულოს სამკურნალო უსტავის კანონი და განუშორებლად იყოფებოდეს ავთიაქში ანუ იყოლიოს ვინმე თანაშემწედ გამოცდილი კაცი, რომელსაც შეეძლოს მისი თანამდებობის რიგიანათ აღსრულება.

მუცალს და იმის წამლობა *)

(დასასრული)

8. როცა ვინმე ავთ ვახდეს, თუ მაგარი ავებულობის არი და დიდი, მიაღებინეთ ორი სტოლის კოვზი საფარალათო ზეთი და თუ სუსტი ავებულობის ანუ თუ ბოვშია, ათი წლის ზევით, ერთი სტოლის კოვზი. შამწვილებს ხუთ წლამდის ერთი ჩაის კოვზი ზეთი, ხუთიღამ ათ წლამდის კი დესერტის (ჩაის კოვზედ მოდიდოა) კოვზი.

9) თუ მეორე დღესაც გაყვა მუცელის წუხილი და გლეჯა და სისხლზედ ყვანა, საფარალათო ზეთი კიდევ დააღვივინეთ.

10. თუ საფარალათო ზეთი ვერ იშოვოთ, დააღვივინეთ სხვა რამ ზეთი, გარდა ნიგვის ზეთისა, მაგრამ საფარალათო ზეთი კი ყველას სხვას სჯობია.

11. სადაც კი თავიღამვე დაუღვივინებიათ ავთამყოფისთვის საფარალათო ზეთი, როგორც ჩვენა ვსთქვით, ავთამყოფი ყოველთვის აღრე მორჩენილა.

12. სოფლის დედაკაცების ან მარჩილების წამლებს ნურასოდეს ნუ ენდობით, რადგან იმათი რჩევა ვნების მეტს სარგებლობას არას მოიტანს.

13. ზოგჯელ იმათი წამალი იმდენზე

მიიყვანს ავთამყოფს, რომ შემდეგ იმათი მორჩენა შეუძლებელია.

14. ბევრ შემთხვევაში მოხდება ხოლმე, რომ ცხელ-ცხელი მოხარშული სელოს (ლერწამის) თესლოს, ანუ ქატოსა, ან კიდევ თბილი ნაცრის შემოსადები, ისე უშველის ავთამყოფსა, რომ ზოგიერთჯერ სრულებით მოსპობს ავთამყოფობასა.

15. უსუფთაოთ დაჭერა ეზოსი, ბოსლის და წვრილ ფეხის სადგომებისა არამც თუ ამისთანა ავთამყოფობის გაჩენის მიზეზია, არამედ იმათ ცივებ-ცხელების გაჩენაზედაც კი აქვთ გავლენა მქიმს ბაბოვს უნახავს ბევრს ალაგას სოფლებში სანახვეზე დაყრილი და ორმოები გავსებული სხვა და სხვა უწმინდური და აყროლებულ ნივთიერებით, მასთან მწვანე ჭუჭყიანი გუბებები, რომელნიც ზაფხულში აყროლებიან და გაავსებენ ჰაერს ხაშშითა, რომელიც განსაკუთრებით სუნთქვით შედის კაცის ავებულებაში და აჩენს ყველა ზემოხსენებულს სნეულებას. ამისთვის ეს ნაგავი და უწმინდური ალაგები უნდა გასწმინდონ და გადიტანონ მოშორებულს ალაგს; თვითონ ორმოები ამოწმინდოთ და ამოამსონ; უვარგისი ნაგავი კი ძალიან ასუქებს მიწას, განსაკუთრებით სასარგებლოა იმ მიწების გასასუქებლათ, სადაც უნდათ თამბაქო დათესონ; თვითონ თამბაქოც ძალიან კარგათ იზდება ამისთანა უწმინდური ნაგავით გასუქებულს მიწაზე.

16. დილით აღრიანათ ან საღამოთი ნამიანს ბალახზე საზოგადოთ არ ვარგა წოლა, და უფრო მაშინ უნდა უფთხილდეს მწვანე ბალახზე ჯდრმას და წოლას, როცა ამისთანა ავთამყოფობა გაჩენილია.

17. შეხტიტველა და ჩაუცმელათ სველ მიწაზე გავლა უბედური შედეგი ექნება საზოგადოთ და განსაკუთრებით როცა ამისთანა ავთამყოფობა მოფენილია სოფლებში.

18. არ ვარგა აგრეთვე უმწიფარო მწვანე ხილის ჭამა და ზედ წყლის სმა, არამც თუ მაშინ, როცა ამისთანა ავთამყოფობაა მოფენილი, არცა არაოდეს; სამწუხაროთ ეს ბევრგან შეუნიშნავს ექიმს ბაბოვს სოფლებში, საცა კი ყოფილა.

19. ბევრს სოფლებში შეუნიშნავს უ. ბაბოვს მოჯანკული და მღვრივე ღვინის სმა. ამისთანა ღვინოს ძალიან ცუდი გავლენა აქვს სტომაქზე; კარგი ღვინო კი ძალიანაც არგებს დასუსტებულ სტომაქს.

20. ბევრგან კარგათ მყოფს ასმევენ სოფლის მკითხავეები ისეთს წამალს, რომელშიაც, როგორც თვითონ ექიმი ბაბოვი ამოწმებს, ურევია ბანგი (ხაშხაში

ანუ თრიაქი). მა აჩენს სტომაქში ყაბზობას და ზაფხულში მუცელის მუცკულობა ანუ ყაბზობა (მწიფარა) სნეულებ მუცელ-კეთილის გაჩენის მიზეზად; ამისთვის ის სჯობია, რომ ზემოხსენებულს რჩევას და საშუალებას უვლონ ყური ვინამც ამ უცოდინარო კაცებს გაუგონონ, რომლებს წყალობით ხშირათ ისე გაუძლიერდება სენი ავთამყოფს, რომ მერე ექიმების წამალიც ვეღარას შევლის.

21. ძალიან სამწუხაროა და ქვის გულში უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელიც ავდებს თავის ავთამყოფს ასე უბატრონოთ. როგორც ექიმი ბაბოვი ამტკიცებს, იმას უნახავს ერთი მუცელ-კეთილიანია ავთამყოფი, რომელიც გადაეგდოთ ტყეში და იმისმა ჭირისუფალმა უჩვენა თურმე მას შორიდგან გაჭირებულს ავთამყოფზე და თვითონ კი ვერ მიეკარა. საოცრება! ასე გულქვათ ჰირუტყვსაც ვერ გაექცევა კაცი.

22. მუცელა ხელის მიკარებით და თუნდ ავთამყოფთან ერთს სადგომში წოლით არასოდეს არ გადაედება. ამას ბევრი მაგალითი ამტკიცებს, თუნდ თვითონ უფ. ბაბოვის მაგალითიც, რომელსაც შესვენდრია ავთამყოფის სადგომში წოლა, მაგრამ მუცელ-კეთილი კი არ დამართნია. აქედამ ცხადათ სჩანს, რომ იმის გამო კი არ ხდებიან ავთ, ავთამყოფს რომ უვლიან, არამედ იმიტომ, რომ არ ასრულებენ ზემოხსენებულს დარიგებას.

აი, ის შენიშვნები, რომელიც მე ექიმმა ბაბოვმა გადმომცა ერთს საუბარში და რომლის გამოცხადებასაც გაზეთში ეხლა მეტად სასარგებლოთ ვრაცხავ, რადგან ამ ქამათ მუცელ-კეთილი მეტად მოდებულია თითქმის მთელს იმერეთში და ხალხის, გაუფთხილებლობისა და უცოდინარობის გამო ბევრჯელ უბედურების მიზეზათ ხდება.

იოსებ თაყაიშვილი

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

მთვევის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში. ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიღამ დილისვე 10 საათამდინ.

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი და მარკაროვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის, თამამშვივი — თვალის ექიმი.

მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფ., მიუჩარინცი — ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

კ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და სსატუროვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის და მინკიევიჩი — ხირურგიულისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი და მარკაროვი — შინაგანი ავთამყოფი, მიუჩარინცი — ყურის და ხირურგიულ ავთამყოფობისათვის და თამამშვივი — თვალის ავთამყოფობისა.

*) „დროება“ № 124

განცხადებანი

კარგო ორკლასიანი
სასწავლებელი და პანსიონი
ა. ჰიჰინაძისა
ბ. შუთაისში

1) სწავლა იწყება სექტემბრის პირველ რიცხვიდან და ჰგრძელდება ივნისს უკანასკნელ რიცხვებამდის, ისე-როგორც სხვა სასწავლებლებშია შემოღებული.

2) მისაც სურს ამ სასწავლებელში ყმაწვილის შემოყვანა, უნდა მიიქცეს სასწავლებელის მზრუნველთან, რომელიც მიიღებს ყმაწვილებს აგვისტოს პირველ რიცხვიდან დაწყებული 15-ს სექტემბრამდის. ამასვე გვიან ყმაწვილი აღარ მიიღება, თუ არ ეცოდინა ისიც მის სამხანაგო ბოვშევს უკვე გაუფლიათ მის შემოსვლამდის.

3) შაგირდები განიყოფებიან ორად: ა) პანსიონერებად და ბ) მომსვლელებად:

ა) პანსიონერი ბინად იქნება სასწავლებელში, სადაც ექნება მას სწავლა, სასმელ-საჭმელი დაბან-დარეცხა და ექიმობა. დანარჩენი საჭირო ნივთები: ტანსაცმელი, ფენ-საცმელი, სახელმძღვინელო წიგნები და სხვა სამოსწავლო ნივთები უნდა ექნეს ყმაწვილს თავისა-წელიწადში პანსიონერმა უნდა შემოიტანოს 250 მანეთი.

ბ) მომსვლელები დილას მოდიან კლასში, სადილობამდის სწავლოლობენ იქ; ამისთვის იხდიან ისინი 40 მანეთს წელიწადში.

4) შული უნდა იქნეს შემოტანილი ორ ნაწილად: პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისათავე და მეორე იანვარში, ნაღვსასწავლებს. არცერთ შემთხვევაში უფულოთ ყმაწვილი სწავლაზედ არ იქნება მიშვებული.

5) პანსიონერები, იუმც ვსურვებათ მთელს წელიწადს (12 თვე) დარჩებიან პანსიონში, მაგრამ, თუ ისურვენ მშობ-

ლებთან და ნათესაებთან წასვლას საღვსასწავლოთ და საზაფხულოთ, ორის თვით, ამ მიზეზით არ გამოერიცხებათ ფული. არც მაშინ გამოერიცხებათ ფული, რომ ავით მყოფობის გამო ბავშვი სწავლას მოაკლდეს. მზრუნველი ამ მხრით ვალდებულია ყმაწვილის მშობლების და ჰირის უფლების წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყმაწვილი მოკლებული იქნება პანსიონსა, სწავლას მისის (მზრუნველის) მიზეზით.

6) მომსვლელები მსწავლობენ სასწავლებელში მხოლოდ სამასწავლო წლის განმავლობაში, ე. ი., ღვსასწავლებზე და ზაფხულში ორ თვეს სწავლა არ ექნებათ, მაგრამ ფული მაინც არ გამოერიცხებათ. ავითყოფობას და სხვა მიზეზებს, რომელნიც დამოკიდებული არ არიან მზრუნველზე, აქაც ის მნიშვნელობა აქვთ, როგორც ზევით არის ნათქვამი.

7) პანსიონერი მიიღება შუთაისში მყოფის პირის თაველობით: თუმც ზემო მოყვინილი პირობები ვერ შეასრულა ყმაწვილის ჰირის-უფალმა, ყმაწვილი თავედებმა უნდა ჩაიბაროს და მისს პატრონს ჩააბაროს.

8) ბარდა მომსვლელებისა და პანსიონერებისა ყმაწვილები მიიღებიან ნახევარ-პანსიონერებად. ისინი დარჩებიან სასწავლებელში დილიდამ საღამომდის, სადაც ექნებათ სწავლა და სადილი ამათ უნდა შემოიტანონ ორასი მანეთი წლის ჰირა, თანახმათ ზევით მოყვანილ პირობათა.

9) სასწავლებელი შესდგება ორის კლასისაგან: პირველი კლასი უდრის გიმნაზია მოსამზადებელს და მეორე გიმნაზიის პირველს კლასს.

პირველ კლასში სწავლობენ:

- 1) შემოკლებულ საღმრთო ისტორიას ძველისა და ახალ აღთქმისა, და ლოცვებს.
- 2) რუსულ ენას
- 3) მართულს
- 4) არითმეტიკას
- 5) წერას

მეორეში:

- 1) საღმრთო ისტორიას ალთქმისა ვრცლად და ლოცვებს
- 2) რუსულ ენას
- 3) მართულს (ენაც გიმნაზიაში გადასვლა ჰსურს)
- 4) არითმეტიკას
- 5) გეოგრაფიას
- 6) არითმეტიკას
- 7) ხატვას გეომეტრიულთა სხეულთა.

მეხუთე კარი „შარამანიანი“

ბამოვიდა და ისყიდება, ტუილისში: მეღიქვილი ისტამბაში და სხვა წიგნის მალაზიებში. სპარსულ იდგან ქართულს ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით. შასი 40 კაპ. (ორი აბაზი). აგრეთვე ისყიდება ზემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი შარამანიანისა.

შუთაისში: გუბერნიის სტამბაში სეიმონ ჩომახიძესთან.

გლოვა
ირაკლი მეორისა
თქმული სოლომონ მსაჯულისაგან
ბამოცემული ზაქარია ჰიჰინაძისაგან
ისყიდება მართანოვი წიგნის მალაზიაში ფასი ერთი შაური

სრული კანონი მანტანგ მეფისა, ბიორგი მეფისა, ძათალიკოზისა, აღბუღასი-ბერძმული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქაღალდზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული. შასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

რკ. ზნა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.		ტელეგრაფი		მ. კაპ	ბირჟა		მან. კაპ	მაჟანდა		მან. კაპ
	მთლიანი	მცდელო	მთლიანი	მცდელო	მთლიანი	მცდელო	მთლიანი	მცდელო	მთლიანი	მცდელო		მთლიანი	მცდელო		მთლიანი	მცდელო	
მთლიანი	9	21	5	18					მ.ცი სიტყვა	თუილისიდან:		პეტერბურგი, 2 აგვისტოს		მთლიანი, 9 აგვისტოს			
მცდელო	10	11	6	27	68	38			შუთაისს, შოთს	1		მართი ანეთი ლირს:		შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	120		
ბორი	11	58	9	43	2	40	123		ბორს, ღუშოს, სიღნაღს	50		ლონდონში 24 პენსი.	78	შქველი წითელი.	1		
ხაშური	1	29	11	57	3	92	218		როსტოვს, მდგნას, მოსკოვს	2		პარიჟში 260 ნანტიმი.	81	შერი ფუთი.	70		
სურამი	1	44			4	42	246		პეტერბურგს, მარშეას	2		მსკონტი(სარგებლისფასი)	71	ბამბა მრეენისა, ფუთი.	7		
ქვირილა	5	49			5	81	323		მსმალეთში, შვეიცარიაში	3		ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი.	850		
რიონი	6	47			6	75	375		იტალიაში და საფრანგეთში	3	50	მოგებიანი(პირველისგესხი)	206	ბაჰენტილი ბამბა ფთ.	780		
სამტრედია	7	41			7	73	429		ინგლისში	3	75	მოგებიანი (მეორე სესხი)	206	მატყლი თუშური ფთ.	6		
ახ.-სენაკი					8	57	476		ფოზტა			ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	380		
შოთი	9	40			9	75	542		ა) მთლიანიდან: სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე			თუილ. სააზნ. ბანკისა.		პბრეშუმი ნუხური სტ.	220		
შოთი	9	13							კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.			ხერსონის ბანკის (5%)	83	ძონი, ფუთი.	550		
ახ.-სენაკი			1	18	66				მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—			მოსკოვის (5%)	90	ძონის სანთელი ფუთი.	620		
სამტრედია	11	16	2	6	114				სამშ. და შაბ. ბ) შუთაისიდან:			აქციები:		სტეარინის სანთელი, ფთ.	12		
რიონი	12	13	3	4	169				თუილისისა და შოთისაქენ—ყოველ			მდგნის სავაჭრო ბანკის	158	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54		
ქვირილა	1	18	3	98	221				დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—			შოთი-თუილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრა.	54		
სურამი	5	12	1	10	533	296			ორშ. და პარასკ.			შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	სპირტი, გრადუსი	12		
ხაშური	5	39	1	37	584	324			წიგნის გაგზავნა რუსეთში			ძაკაზის და მერკურის.	203	შაქარი, ბროც. ფუთი	780		
ბორი	7	5	4	8	736	49			და სამზღვარ გარეთ:			პირე. საზღვევ. საზოგ.	735	— ფხვნილი ფუთი	750		
მცხეთა	8	50	6	59	985	4			ლია წიგნის	4		პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	შავი გრგვალი, ფუთი	25		
თუილისი	9	31	7	56	975	542			დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8		მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	მქრო 1/2 იმპერიალი.	792		